შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (10.004)

4-11დეკემბერი 2021წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„მთავარია, გადაწყვეტილებები ისე მივიღოთ, რომ ჩვენი ხალხის და მუნიციპალიტეტის ინტერესები იყოს დაცული“...

3 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

საკრებულოს სხდომა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დავით ნასრაშვილი გახსნა, რომელმაც საზოგადოებას 2 ოქტომბერს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების შედეგები გააცნო და სიტყვა საკრებულოს უხუცეს წევრს გიორგი გოგილაშვილს გადასცა.

2ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოში 30 წევრია. აქედან, 10 მაჟორიტარული წესით, 20 კი პროპორციული სიით არჩეული . 30 წევრიდან მპგ ,,ქართულ ოცნებას“ 24 წარმომადგენელი ჰყავს, “ნაციონალურ მოძრაობას”-5 , ხოლო სახალხო პარტიას 1 წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე **ნუგზარ პაპიაშვილის** კანდიდატურა დასახელდა. წარმოდგენილი კანდიდატურა ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით იქნა არჩეული. ასევე, ხმათა უმრავლესობა მოიპოვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების კანდიდატურებმაც. ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა განაცხადა, რომ პიროვნულად საწინააღმდეგო არავისთან არაფერი აქვს, თუმცა, თანამდებობის პირთა არჩევნებში მონაწილეობისგან “ნაციონალურმა მოძრაობამ” თავი შეიკავა, ოდნავ მოგვიანებით კი სხდომა დროზე ადრე დატოვა იმ მოტივით, რომ ყველაფერი ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მათ შორის ფარული კენჭისყრაც.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ **გოჩა სამუკაშვილი**, ხოლო მოადგილეებად **გივი გიგაური** და **დავით ალულიშვილი** აირჩიეს.

საკრებულოს წევრებმა ასევე ფარული კენჭისყრით აირჩიეს კომისიების თავმჯდომარეებიც: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას **მამუკა სეფიაშვილი** უხელმძღვანელებს, სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას **მიხეილ ბახუტაშვილი**, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას **არსენა ბაღაშვილი**, სივრცით—ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიას **ნიკოლოზ ხუციშვილი**, იურიდიულ საკითხთა კომისიას- **გიორგი გოგილაშვილი**.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, 2021 წლის მოწვევის საკრებულოში მხოლოდ ორი ფრაქცია იქნება. ფრაქციას- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ **ნუგზარ ყოჩიაშვილი** უხელმძღვანელებს, ხოლო „ერთიან ნაციონალური მოძრაობას“ -**ლევან ბაღაშვილი**.

კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად ფრაქციათა ოდენობა კი შემცირდა, მაგრამ გაიზარდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და ფრაქციების თავმჯდომარის მოადგილეთა რიცხვი.

2021 წლის ახალი მოწვევის საკრებულოში გენდერული ბალანსიც დაცულია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალთა ინტერესებს 5 ქალი დაიცავს და ისინი საკრებულოს წევრთა 20%-ს წარმოადგენენ. როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა განაცხადა, ეს ფაქტი არა ვინმეს კეთილი ნების, არამედ კანონით გათვალისწინებული სავალდებულო გენდერული კვოტირების შედეგია.

სხდომის დასასრულს შეიქმნა საკრებულოს ბიურო შემდეგი შემადგენლობით: **ნუგზარ პაპიაშვილი, გოჩა სამუკაშვილი, გივი გიგაური , დავით ალულიშვილი , მამუკა სეფიაშვილი , მიხეილ ბახუტაშვილი , არსენა ბაღაშვილი , ნიკოლოზ ხუციშვილი , გიორგი გოგილაშვილი , ნუგზარ ყოჩიაშვილი, ლევან ბაღაშვილი.**

სხდომის დასასრულს **ნუგზარ პაპიაშვილმა**, რომელსაც საკრებულოს წევრებმა ნდობა მესამედ გამოუცხადეს და საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს, მადლობა გადაუხადა მათ და იმედი გამოთქვა, რომ ერთად დედოფლისწყაროსთვის უამრავ სასიკეთო პროექტს განახორციელებენ. „მივესალმები ახლად წარმოდგენილ დეპუტატიას როგორც „ქართული ოცნებიდან“, ასევე ოპოზიციიდან. ის ღირსება, რომელსაც დედოფლისწყაროელობა ჰქვია, თანაბრად უნდა ვატაროთ ყველამ, იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა ერთმანეთი. ოპონირება, კამათი და საკითხში ჩაღრმავება, ვფიქრობ, რომ ეს კანონზომიერიცაა. მთავარია, გადაწყვეტილებები ისე მივიღოთ, რომ ჩვენი ხალხის და მუნიციპალიტეტის ინტერესები იყოს დაცული“.

ახალი საკრებულოს პირველი სხდომა შეაფასა მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა: „დღეს გაიმართა ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა. შესაბამისად, 2017 წელს არჩეული საკრებულო ძალადაკარგულად გამოცხადდა. პირველ რიგში მინდა,, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და ახლადარჩეულ საკრებულოს მივულოცო ეს ფაქტი და წარმატება ვუსურვო თითოეულ მათგანს, ადამიანებს, ვისაც ხალხმა მათი და რაიონის ბედი ანდო. მახარებს ის, რომ ძალიან კარგი გუნდია შეკრებილი, განსაკუთრებით მიხარია ქალბატონების სიმრავლე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საკრებულოს თითოეული წევრი თავის მუნიციპალიტეტზეა შეყვარებული და თავისი საქმის პროფესიონალია, რაც მაძლევს იმის იმედს, რომ ყველა პასუხისმგებლობით განახორციელებს 4 წლის მანძილზე თავის მოვალეობას. ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების გასაღები სწორედ დედოფლისწყაროს საკრებულოსთან ერთად კოორდინირებულ მუშაობაშია.“

ინგა შიოლაშვილი

ადგილობრივი მოსახლეობა გეოგრაფიული ჩიხიდან გამოსავლის გზებს ეძებს...

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი სიგრიდ ბრეტელი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი , ევროკავშირისა და არასმთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ეწვივნენ.ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან გივი მეტრეველთან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან ნუგზარ პაპიაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების წევრებთან ერთად ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი და მიმდებარე რეკრეაციული ზონა დაათვალიერეს. აღნიშნულ ტერიტორიაზე უახლოეს პერიოდში ევროკავშირის ჩართულობით ინფრასტრუქტურის მოწყობა იგეგმება.

დელეგაციამ ასევე მოინახულა დედოფლისწყაროში არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე წლის მაისში გაიხსნა .

მუნიციპალიტეტის სტუმრები ადგილობრივი ხელისუფლისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად პრეზენტაციას დაესწრნენ, რომელიც დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის ნომინირებასთან დაკავშირებით გაიმართა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის სხდომაზე ,,დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის“ UNESCO-ს პროგრამის ,,ადამიანი და ბიოსფერო“ სამდივნოში ნომინაციის განკარგულების პროექტი მოიწონეს. აღნიშნული ნომინაციისთვის საჭირო დოკუმენტაციას UNESCO-ს სამდივნოში საქართველოს მთავრობის სახელით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარადგენს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ბიოსფერული რეზერვატის დაარსება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მოდელის დაარსება კახეთის რეგიონში“ ფარგლებში მიმდინარეობს. პროექტი ხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან პარტნიორობით.

პრეზენტაციას უძღვებოდა კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი ბუნებრივი რესურსების პროგრამების მენეჯერი, ლალი თევზაძე. მან ვრცლად ისაუბრა ბიოსფერული რეზერვატის მნიშვნელობაზე და მიმოიხილა პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

„ხშირად არ არის მარტივი განმარტო ის დიდი სიკეთე, რისი მოტანაც ბიოსფერული რეზერვატის სტატუსს შეუძლია კონკრეტული ქვეყნისთვის, მისი რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ბიოსფერული რეზერვატი არის სტატუსი, რომელსაც UNESCO ანიჭებს ისეთ ტერიტორიას, სადაც ადგილობრივების ჩართულობით ხდება ბუნების, ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი პროცესების დაცვა მავნე ზეგავლენებისგან. რეზერვატი არის ადგილი, სადაც ადამიანები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. UNESCO-ს მიერ აღიარებული სტატუსი მნიშვნელოვანია როგორც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასპექტით. ევროპაში არსებული ბიოსფერული რეზერვატები ნათელი მაგალითია იმისა, თუ ადგილობრივი მოსახლეობა მათი არსებობით რა სიკეთეს იღებს.“

დღეს მთელი მსოფლიო ცდილობს განსაკუთრებული ტურისტული მიმართულებების განვითარებას, ბიოსფერული რეზერვატი სწორედ ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს თავისი ეკოტურისტული ხასიათითა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციით.

UNESCO-ს მონაცემებით, დღეს-დღეობით მსოფლიოს 131 ქვეყანაში 727 ბიოსფერული რეზერვატია. საქართველოში ამ მიმართულებით გამოკვლეულ რეგიონებს შორის, კახეთი ყველაზე მეტად გამორჩეული და დიდი რეგიონია.

გარდა იმისა, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით ბიოსფერული რეზერვატი მდგრად განვითარებასა და ცხოვრების ხარისხის გაზრდას უწყობს ხელს, მას ნიშანდობლივი ეკონომიკური გავლენა აქვს, როგორც ტურისტული, ისე ადგილობრივი წარმოების თვალსაზრისით.

ინოვაციური რეფორმებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების (განახლებადი ენერგიის წყაროები, წყლის კონსერვაცია და მიზნობრივი გამოყენება, მესაქონლეობა და შინაური ცხოველის გაზრდის ახალი ტექნოლოგიები) გამოყენებით იქმნება დასაქმების ახალი შესაძლებლობები და ამავდროულად, ხდება ბუნების დაცვაც. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიოსფერული რეზერვატის ფარგლებში დამატებითი დოვლათის შექმნაა შესაძლებელი“.

განხორციელებული საპილოტე პროექტების შესახებ შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა პროექტის მენეჯერმა დედოფლისწყაროში ამირან კოდიაშვილმა: „ბიოსფერული რეზერვატი სიახლე იყო როგორც საქართველოსთვის, ასევე დედოფლისწყაროსთვის. შესაბამისად, ვცდილობდით,ამ სიახლის შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა მოსახლეობის ფართო მასებისთვის და აგვეხსნა: მიუხედავად იმისა, რომ ბიოსფერული რეზერვატი დაცული ტერიტორიაა, არ გულისხმობს აკრძალვებს. საუბარია იმაზე, რომ განვითარება უნდა მოხდეს ბუნებასთან ჰარმონიაში: როდესაც ბიომრავალფეროვნების დაცვა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ჰარმონიულად მიმდინარეობს. იმ სიტუაციაში, როდესაც საუბარია კონფლიქტზე, ისე უნდა მოგვარდეს, რომ ორივე მხარის მიზნები იყოს შესრულებადი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჰარმონია დაირღვევა. ბიოსფერული რეზერვატის არსი ეს არის. შესაბამისად, ჩვენი საპილოტე პროექტები ემსახურებოდა ინფორმაციის მიწოდებას.

ელექტრო ღობე-საზღვარი ცხოველებისთვის

ერთი საპილოტე პროექტი განხორციელდა არწივის ხეობაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ დედოფლისწყაროსთან ძალიან ახლოს, არის საძოვარი. ბუნებრივია, რომ ამ ტერიტორიაზე აძოვებს მოსახლეობა თავის საქონელს. მაგრამ ხშირია სემთხვევები, როდესაც ეს საქონელი გადადის დაცულ ტერიტორიაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მოსახლეობა ხშირად უშვებს მსხვილფეხა პირუტყვს უპატრონოდ, მწყემსის გარეშე. ცხოველისთვის კი მოგეხსენებათ, საზღვარი არ არსებობს. ამიტომ ხშირად ხდება კონფლიქტი დაცული ტერიტორიების მიზნებსა და მოსახლეობას შორის. ჩვენ, საპილოტე პროექტის ფარგლებში და ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, მოვახდინეთ ელექტრო ღობეებით როტაციული ძოვების სისტემის დადგენა. ამ მეთოდით ხდება საძოვრის გაყოფა რამოდენიმე ნაწილად, შემოღობილია ის ელექტრო ღობით და ხდება მხოლოდ ერთი ტერიტორიის სრული გამოყენება, ხოლო სხვა ტერიტორიის დასვენება. ამ მეთოდით საძოვარიც უმჯობესდება. და მთავარი შედეგი კი ისაა, რომ ფაქტიურად მოისპო კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასა და დაცულ ტერიტორიებს შორის.

მეორე საპილოტე პროექტი

ჭაჭუნას აღკვეთილის მიმდებარედ, რომელიც ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული დაცული ტერიტორიაა, საძოვრებია და მეცხოველეობის ფერმები. ძირითადად მეცხვარეები. ამ საძოვრებზე ათი ათასობით ცხვარი იკვებება. ბუნებრივია, რომ ცხვარს სჭირდება წყლის რესურსი. საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზეც , სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსის გამოყენება. მაგრამ წყლის გამოყენების საბაბს ხშირად მოსდევდა ჭალის გადაძოვება. დაცული ტერიტორიების საძოვრად გამოყენება კი ქმნის კონფლიქტს ბუნებასა და ფერმერებს შორის.

2022 წლისთვის სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ბიუჯეტი 52 მილიონ ლარამდე გაიზრდება

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეა. იგი 1992 წელს, გაეროს მიერ დაარსდა და მისი მიზანია კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება იმ მრავალსაუკუნოვან დისკრიმინაციასა და უგულვებელყოფაზე, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განიცდიან.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევაა გაწეული, შეზღუდული შესაძებლობის მქონე პირებს კვლავაც ექმნებათ გადაადგილების, განათლების, დასაქმების, რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და სხვა ტიპის პრობლემები. ეს პრობლემა განსაკუთრებით მძაფრად ჩანს ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. შეზღუდული შესაძებლობის მქონე პირებს ყოველდღიურად უწევთ დიდი დაბრკოლებების გადალახვა, რომელიც ვერ ჩაითვლება ღირსეულ ცხოვრებად. შშმ პირების ნაწილი ამის გამო გამოკეტილია დახურულ სივრცეში და ვერ ახდენს საზოგადოების ნაწილად საკუთარი თავის აღქმას, ნაწილი კი მძიმე საზოგადოებრივი სტიგმის მსხვერპლია. სწორედ ამიტომ, დღეს როგორც არასდროს ჩვენ უნდა გვესმოდეს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თითოეული წევრის ცნობიერებასა და სოლიდარობას შშმ პირების მიმართ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის პირველი სხდომა ჩატარდა.

ყველასთვის თანასწორ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

2014 წელს მთავრობამ მოახდინა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაცია.

გასულ წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები.

საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, ძლიერდება სოციალური დაცვის პროგრამები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქალაქეებისათვის.

2022 წლისთვის სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ბიუჯეტი 52 მილიონ ლარამდე გაიზრდება.

ბოლო მონაცემებით, დისტანციურ სწავლებაზე იმყოფება 108 სკოლა და 369 კლასი

გასული ერთი კვირის მონაცემის მიხედვით, საქართველოს მასშტაბით შემცირდა დისტანციურ სწავლებაზე გადასული სკოლების რიცხვი. ბოლო შვიდი დღის მონაცემებით, დისტანციურ სწავლებაზე იმყოფება 108 სკოლა და 369 ცალკეული კლასი. ამის შესახებ ინფორმაციას განათლების და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, საქართველოს მასშტაბით დისტანციურ სწავლებაზე იმყოფება რისკის ჯგუფის 115 მასწავლებელი, რაც გასული კვირის მონაცემთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია.

„ბოლო შვიდი დღის განმავლობაში კორონავირუსი დაუდასტურდა მასწავლებლების 0.8%-ს, ხოლო მოსწავლეების — 0.3%-ს.

ამ ეტაპისთვის აცრილია მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 71%.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებში ჩოვიდ-19-ის ვირუსის პრევენციის მიზნით აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით. ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს ჩოვიდ-19-ზე მასწავლებელთა ტესტირება.

სკოლებში მაქსიმალურად დაცულია ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციები და შექმნილია უსაფრთხო გარემო. ამ პროცესს მონიტორინგს საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სამინისტროს წარმომადგენლები უწევენ“,- აღნიშნავენ უწყებაში.

ადგილობრივი მოსახლეობა გეოგრაფიული ჩიხიდან გამოსავლის გზებს ეძებს...

ამ პილოტ პროექტით სინერგიაში შევედით ძალიან კარგ პროექტთან. არის ასეთი ორგანიზაცია „საბუკო“, რომელიც ახორციელებდა ძაბრების მოწყობას. ძაბრი ნიშნავს -ორი მხრიდან ხდება ღობეების მოწყობა ისე, რომ საქონელი ჩავიდეს მხოლოდ წყლის დასალევად. პილოტ პროექტის ფარგლებში შემოვლობეთ 3 კილომეტრი ტერიტორია. თითქმის ათასი ჰექტარი დავიცავით ჭალა ჭარბი ძოვებისგან და შევარბილეთ კონფლიქტი დაცულ ტერიტორიასა და მოსახლეობას შორის.

მოეწყო ორი გადასახედი- არხილოსკალოსა და დედოფლისწყაროს შემოსასვლელთან. ერთი გადასახედიდან ალაზნის ველი იშლება ხელისგულივით, მეორიდან კი- ივრის ზეგანი. ამ გადასახედებთან მოეწყო საინფორმაციო დაფები, სადაც პოპულარულ ენაზეა გადმოცემული ინფორმაცია არა მარტო ბიოსფერული რეზერვატის, არამედ ამ ადგილების კულტურული მემკვიდრეობის შესახებაც“.

შეხვედრაზე ბიოსფერული რეზერვატის შესახებ გადაღებული საიფორმაციო კლიპი აჩვენეს, სადაც დედოფლისწყაროელი ფერმერები, გარემოსდამცველები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

გეოგრაფიული ჩიხიდან გამოსავლის გზების ძიებაში

ბიოსფერულ რეზერვატს განიხილავენ როგორც ხარისხის ნიშანს. რეზერვატის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქცია გაცილებით მაღალ ფასად იყიდება საერთაშორისო ბაზარზე. ამ ფაქტს ბევრი ნათელი მაგალითი მოწმობს, მაგალითისთვის, 1998 წელს მაროკოში შექმნილი არგანის ბიოსფერულ რეზერვატში ყველაზე მაღალი ხარისხის არგანის ზეთი იწარმოება და ექსპორტირდება; კოტ-დ'ივუარის კომოეს ბიოსფერულ რეზერვატში წარმოებული თაფლი ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ პროდუქტად ითვლება; ეთიოპიის კაფას რეზერვატში წარმოებული ყავა ასევე, მსგავსი რეპუტაციით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე. ასეთი მაგალითების სია ძალიან გრძელია და რეზერვატების რაოდენობის მატებასთან ერთად იზრდება და პირდაპირ აისახება ადგილობრივთა კეთილდღეობაზე. საქართველოს ბიოსფერული რეზერვატების შექმნასა და ამ ტერიტორიებზე წარმოების განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს.

სწორედ დედოფლისწყაროს პოტენციალის შესახებ ისაუბრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ.

მალხაზ მერაბიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: „ის ცუდი მაგალითი, რომელიც თავის დროზე ყაზბეგის ბიოსფერული რეზერვატის დაარსებას მოჰყვა, ეს იყო ჩვენთვის გამოწვევა, რომ იგივე შეცდომები არ დაგვეშვა ჩვენც ამ ნომინაციაზე წარდგენისას. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად. პირველად მოხდა საქართველოში, როცა 144 ტონა ყურძენი პირდაპირ ვენახიდან გავიდა ექსპორტზე სლოვაკეთსა და უკრაინაში. ეს მოჰყვა სწორედ ადგილობრივი მოსახლეობისა და ფერმერების სწორ ინფორმირებულობას.

მართალია, დღეს ჯერ არ გვაქვს ეს ნომინაცია, მაგრამ ბიზნესმენები და ფერმერები ემზადებიან ამისთვის და წინ, მომავლისკენ იყურებიან.

მე მინდა მოკლედ წაგიკითხოთ წერილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სწერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც ისინი ითხოვენ ნებართვას ერთ-ერთ ჰაბიტატზე კაკბებისათვის. კარგი მაგალითი იყო მუნიციპალიტეტის, საჯარო რეესტრისა და REC-ის ერთობლივი მემორანდუმი, რითიც ერთ-ერთი სოფლის მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით სივრცითი მოწყობა დაიგეგმა. აქედან გამომდინარე, იმ ჰაბიტატზე, სადაც ტყეა, მათ აქვთ სურვილი, რომ ამ ადგილას შეიძინონ და გაუშვან კაკბები, რომლებიც უკონტროლო ნადირობისა და ბრაკონიერობის გამო გადაშენების პირას არიან. მოსახლეობა ვალდებულებას იღებს, რომ მიმდებარე ტერიტორიასაც დაიცავენ და ამ პოპულაციასაც აღადგენენ.

ამ მაგალითით იმის თქმა მინდა, რომ ინფორმირებულობის შედეგად მოსახლეობის ჩართულობა უკვე საგრძნობია და ისინი ბიოსფერული რეზერვატის ფარგლებში თავიანთ ცხოვრებას უკვე სხვა ჭრილში ხედავენ.

ადგილობრივი მოსახლეობა უკვე ებღაუჭება ამ შესაძლებლობას, რომ გამოიყენოს ეს შანსი და გეოგრაფიული ჩიხიდან გამოსავლის გზებს ეძებს“.

მოსახლეობის ინფორმირება რომ მნიშვნელოვანია, ამის თაობაზე იცოდა მუნიციპალიტეტის მერმა, რომელმაც დიდი შრომა გასწია.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი : „ძალიან ბევრი შეხვედრა ჩატარდა მოსახლეობასთან მათი ინფორმირებულობისათვის. როგორც თქვენ დაინახეთ, ბევრი პროექტი, მათ შორის ევროკავშირის პროექტი, ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული და არცერთი შეხვედრა არ ყოფილა, დედოფლისწყაროს ტურისტულ პოტენციალთან დაკავშირებული, სადაც ჩვენ არ გვესაუბრა იმ შესაძლებლობებზე, რასაც გვაძლევს ბიოსფერული რეზერვატი. ამირან კოდიაშვილმა ახსენა კონფლიქტები ეკონომიკურ საქმიანობაში, მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას შორის. გერმანული თანამშრომლობის საზოგადოება, რომელიც ჩვენი დიდი ხნის პარტნიორია, ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს ანხორციელებდა, მათ შორის ქარსაფარი ზოლების აღდგენასთან დაკავშირებით, ყველაფერი იყო ერთმანეთთან მიბმული და ამ შესაძლებლობებს ვიყენებდით ჩვენც და ვუხსნიდით მოსახლეობას, რა სარგებელს მოუტანს ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი დედოფლისწყაროს და უშუალოდ თითოეულ მათგანს.

ჩვენი მუნიციპალიტეტი და მოსახლეობის საქმიანობა მაინც დაკავშირებულია ტრადიციულ საქმიანობასთან და ეს ტრადიციული საქმიანობები ბუნებისადმი მეგობრულად არის განწყობილი და მის მოფრთხილებასთან არის დაკავშირებული“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„„ძალიან ამაყი ვარ, რომ ევროკავშირმა ამაში შეიტანა წვლილი. ბიოსფერული რეზერვატი სწორი დამოკიდებულებაა როგორც ტურიზმის განვითარების, ასევე ეკონომიკური კუთხით განვითარებისკენ. ეს ძალიან კარგი მოდელია სრულიად საქართველოს განვითარებისთვის. ევროკავშირი ზრუნავს საქართველოს რეგიონებზე. სამინისტროსთან ერთად, ჩვენი ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ოთხ მიზნობრივ რეგიონში ვმუშაობთ, რათა დავეხმაროთ ადგილობრივ მოსახლეობას უშუალოდ ისარგებლონ გაუმჯობესებული პირობებით. პროგრამა ხელს უწყობს სოფლებისა და ქალაქების, ასევე ბიზნესისა და გარემოს განვითარების ბალანსის გაუმჯობესებას. ევროკავშირში გამოცდილებამ გვასწავლა, რომ რეგიონები უკეთ და უფრო მდგრადად ვითარდება, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლება თავად იღებენ გადაწყვეტილებებს. მოხარული ვარ, რომ ამ გადაწყვეტილებების შედეგების ნახვა უკვე შეგვიძლია,“ -განაცხადა **სიგრიდ ბრეტელმა**.

***

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროში ბიორეზერვატის პროექტი ხორციელდება. საქართველოს გამოჩენა ბიოსფერული რეზერვატის მსოფლიო რუკაზე ბევრი ადამიანის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას, მიხეილ ზუკოვის ფონდს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრს.

პროექტში ასევე მონაწილეობენ ადგილობრივ ფერმერთა ასოციაციები, ადგილობრივი განვითარების ფონდები, დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციები და ა.შ.

პროექტის განმახორციელებელი პარტნიორების - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის დიდი მონდომებით, საქართველო პირველი ქვეყანა იქნება რეგიონში, სადაც ერთდროულად ორი ბიოსფერული რეზერვატი დაარსდება: სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი — თუშეთში და დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბიოსფერულ რეზერვატებში არსებულ ბიზნესებსა თუ ინდივიდუალურ პირებს, გაცილებით მარტივად შეუძლიათ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სხვადასხვა დაფინანსებების მოძიება და ამ მხრივ საქმიანობის განვითარება. მსოფლიოს მასშტაბით ბიოსფერულ რეზერვატებში მცხოვრებ მოსახლეობას ძლიერი ლოკალური იდენტობის შეგრძნება და განსაკუთრებული სიამაყით სავსე დამოკიდებულება აქვს თავის რეგიონთან დაკავშირებით, რაც აისახება მათ აქტიურ ჩართულობაში ყველა მიმდინარე დაცვით ღონისძიებაში.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ერთად ყველაფერს შევძლებთ

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება არის ნებაყოფლობითი, ჰუმანიტარული, არასამთავრობო, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს, როგორც ხელისუფლების დამხმარე ორგანიზაცია ჰუმანიტარული საქმიანობების სფეროში. იგი თავის საქმიანობას ახორციელებს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, მისი წესდებისა და მისიის შესაბამისად, წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლური პრინციპების დაცვით და სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.

„ჩვენი მისიაა დავეხმაროთ უმწეო ადამიანებს საგანგებო სიტუაციებით და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული შედეგების დაძლევაში მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვის მიზნით. ჩვენ ვზრუნავთ ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქებაზე და სიღარიბისაგან და მცდარი შეხედულებებისაგან თავისუფალი გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე“.-აცხადებს „შირაქთან“საუბარში წითელი ჯვრის დედოფლისწყაროს ფილიალის მენეჯერი ქ-ნი ნათელა თამაზაშვილი.იგი 2016 წლიდან ჩაუდგა სათავეში ამ ორგანიზაციას და მას მერე არაერთი საქველმოქმედო თუ მოსახლეობის სამედიცინო კვლევების განხორციელების ავტორი გახდა.

„ჩვენს საქმიანობას ვახორციელებთ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, მისი წესდებისა და მისიის შესაბამისად, წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლური პრინციპების დაცვით და ვსარგებლობთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.

ვინაიდან, ვართ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში,ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება გვაქვს ჩატარებული. სულ ახლახანს ჩვენი სათაო ოფისის ხელშეწყობით, მარტოხელა პენსიონერებზე გავეცით პირველადი საჭიროების საკვები პროდუქტების 20 ცალი ამანათი.

ვეხმარებით დაზარალებულ მოსახლეობას საგანგებო სიტუაციების დროს. რამოდენიმე ხნის წინ კომპანია „ფრონტერას“დროებით უმუშევრად დარჩენილ ჩვენს თანამოქალაქეებს დავეხმარეთ მსხვილი სასაჩუქრე ამანათებით. აქვე მოსახლეობისთვის კიდევ ერთხელ უნდა განვმარტო, რომ ჩვენ და მერიის სოციალური სააგენტო ერთობლივად ვართ მონაწილე ამ პროექტებში, მათგან მოგვეწოდება სიები და ამის მიხედვით გავცემთ დახმარებებს სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებზე- შშმპ-ზე, მარტოხელა პენსიონერებზე, სოციალურად დაუცველებსა თუ სხვებზე, სიტუაციისა და მოთხოვნის შესაბამისად. რახ შეეხება სამედიცინო გამოკვლევების კუთხით მოსახლეობის მოთხოვნების უზრუნველყოფას, აღვნიშნავ, რომ ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ჩვენს მუნიციპალიტეტში ჰყავს წითელი ჯვრის ორგანიზაციას ყველა პროფილის ექიმი და ყველანაირად ვცდილობთ, გვერდში დავუდგეთ ჩვენს თანამოქალაქეებს და შესაბამისი უფასო სამედიცინო დახმარება გავუწიოთ თითოეულ მათგანს. დღემდე უამრავი გასვლითი ღონისძიება გვაქვს განხორციელებული როგორც ჩვენს სოფლებში, ასევე სხვადასხვა რეგიონებში-სამეგრელოში, პანკისის ხეობაში, იმერეთსა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“. -გვიამბობს ქალბატონი ნათელა.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ამ ორგანიზაციას და კიდევ უამრავი საქველმოქმედო ღონისძიების განხორციელება, რაც ასე მნიშვნელოვანია ეკონომიკური კრიზისისა და პანდემიის ფონზე ჩვენი მოსახლეობისთვის.

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

ყველაზე საშიში და დაუმარცხებელი ეპიდემია

რატომ უნდა ვთქვათ თამბაქოს მოხმარებაზე უარი?!

საკვანძო ფაქტები:

-თამბაქო კლავს მის მომხმარებელთა ნახევარს;

-თამბაქო ყოველწლიურად კლავს 8 მლნ-ზე მეტ ადამიანს. მათგან 7მლნ-ზე მეტის სიკვდილის მიზეზი თამბაქოს მოხმარების პირდაპირი მოხმარებაა, ხოლო დაახლოებით 1,2 მლნ ადამიანში არამწეველთა მეორადი კვამლის ზემოქმედების შედეგად დგება ფატალური შედეგი;

-მსოფლიოს 1,3 მლრდ თამბაქოს მომხმარებელთა 80% ცხოვრობს დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში;

თამბაქო არის ნიკოტინას გვარის რამდენიმე მცენარის საერთო სახელწოდება და ასევე არის ზოგადი ტერმინი ნებისმიერი პროდუქტისთვის, რომელიც დამზადებულია დამუშავებული თამბაქოს ფოთლების გამოყენებით, როგორიცაა სიგარეტი და სიგარა. თამბაქოს ნაწარმი იწვევს დამოკიდებულებას და შეიძლება რთული იყოს მოხმარების შეწყვეტა თამბაქოს ფოთლებში მასტიმულირებელი ნიკოტინის არსებობის გამო.

თამბაქოს მოხმარებითა და მოწევით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, თამბაქო ყოველწლიურად კლავს 8 მილიონზე მეტ ადამიანს, მათ შორის როგორც მწეველებს, ასევე არამწეველებს, რომლებიც განიცდიან მეორად მოწევას. დაავადებათა კონტროლის ცენტრი აღნიშნავს, რომ თამბაქო არის პრევენციული დაავადებების, ინვალიდობის და სიკვდილის წამყვანი მიზეზი შეერთებულ შტატებში. თამბაქოს მოხმარება ზრდის ფილტვის კიბოს, პირის ღრუს კიბოს, გულის დაავადებების და სისხლის შედედების განვითარების ალბათობას. თამბაქოს მოხმარება ასევე ზრდის ინფარქტის და ინსულტის რისკს და იწვევს კბილების და ღრძილების გაფუჭებას და კანის ადრეულ დანაოჭებას. თამბაქოს გავრცელებაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი. კეთილდღეობა ამათგან პირველია. მდიდარ ქვეყნებში უფრო ხშირად ეწევიან. ზოგიერთი რელიგია, როგორიცაა ქრისტიანობა და იუდაიზმი, თამბაქოს წინააღმდეგია. გარდა ამისა, მსოფლიოს ზოგიერთ კულტურაში მოწევა სოციალური კულტურის ნაწილია და თითქმის ბუნებრივ პროცესად ითვლება.

თამბაქოს ეპიდემია არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც მსოფლიოს ოდესმე შეხვედრია. თამბაქოს ყველა ფორმა საზიანოა და არ არსებობს მისი ზემოქმედების უსაფრთხო დონე. სიგარეტის მოწევა თამბაქოს მოხმარების ყველაზე გავრცელებული ფორმაა მთელს მსოფლიოში. თამბაქოს სხვა ნაწარმი მოიცავს წყლის მილის, სხვადასხვა უკვამლო თამბაქოს ნაწარმს, სიგარებს, სიგარილოებს, ნაგლეჯი თამბაქოს ლულის პროდუქტს, ბილისს და კრეტექსს.

აღსანიშნავია, რომ წყლიანი თამბაქოს მოხმარება ისეთივე ზიანს აყენებს ორგანიზმს, როგორც სიგარეტი. თუმცა, თამბაქოს წყლის მილების მოხმარებისას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეები უმეტესად, არ ესმით მომხმარებლებს. კვამლის გარეშე თამბაქოს მოხმარება ძლიერ მიჩვევას იწვევს და ჯანმრთელობისთვის საზიანოა. უკვამლო თამბაქო შეიცავს ბევრ, კიბოს გამომწვევ ტოქსინებს და მისი გამოყენება ზრდის თავის, კისრის, ყელის, საყლაპავისა და სხვადასხვა სტომატოლოგიური დაავადებების რისკს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოში თამბაქოს 1,3 მილიარდი მომხმარებლის 80%-ზე მეტი ცხოვრობს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებებისა და სიკვდილის ტვირთი ყველაზე მძიმეა. თამბაქოს მოხმარება ხელს უწყობს სიღარიბეს და ზრდის შინამეურნეობების ხარჯებს. თამბაქოს მოხმარების ეკონომიკური ხარჯები არსებითია და მოიცავს მნიშვნელოვან ჯანდაცვის ხარჯებს თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ, ისევე როგორც დაკარგულ ადამიანურ კაპიტალს, რომელიც გამოწვეულია თამბაქოს ავადობისა და სიკვდილიანობის შედეგად. ზოგიერთ ქვეყანაში ღარიბი შინამეურნეობების ბავშვებს ასაქმებენ თამბაქოს მეურნეობაში ოჯახის შემოსავლის გასაზრდელად. თამბაქოს მწარმოებელი ფერმერები ასევე ექვემდებარებიან ჯანმრთელობის რიგ რისკებს, მათ შორის „მწვანე თამბაქოს დაავადებას“.

ძირითადი ზოგები თამბაქოზე მოთხოვნის შესამცირებლად

მეორადი მოწევა კლავს - მეორადი კვამლი არის კვამლი, რომელიც ავსებს დახურულ სივრცეებს, როდესაც ადამიანები წვავენ თამბაქოს ნაწარმს, როგორიცაა სიგარეტი, ბიდისი და წყლის მილები. არ არსებობს მეორადი თამბაქოს კვამლის ზემოქმედების უსაფრთხო დონე. ის იწვევს წელიწადში 1,2 მილიონზე მეტ ნაადრევ სიკვდილს და გულ-სისხლძარღვთა და რესპირატორულ დაავადებებს. ბავშვების თითქმის ნახევარი რეგულარულად სუნთქავს თამბაქოს კვამლით დაბინძურებულ ჰაერს საზოგადოებრივ ადგილებში და შედეგად, ყოველწლიურად მათგან 65 000 იღუპება მეორადი მოწევით გამოწვეული დაავადებებით. ჩვილებში ის ზრდის ჩვილების უეცარი სიკვდილის სინდრომის რისკს. ორსულებში ეს იწვევს ორსულობის გართულებას და დაბადებულ წონას. მოწევის შესახებ კანონები იცავს არამწეველთა ჯანმრთელობას და პოპულარულია, რადგან არ აზიანებს ბიზნესს და მოუწოდებს მწეველებს, თავი დაანებონ მოწევას.

გრაფიკულად გამოსახული გაფრთხილებები მუშაობს

დიდსურათებიანი ან გრაფიკული გაფრთხილებები ჯანმრთელობის შესახებ, მათ შორის უბრალო შეფუთვას, მძიმე შეტყობინებებით, შეუძლია დაარწმუნოს მწეველები, დაიცვან არამწეველთა ჯანმრთელობა სახლში არმოწევით, დაიცვან მოწევის კანონები და წაახალისონ მეტი ადამიანი, რათა თავი დაანებონ თამბაქოს მოხმარებას. კვლევები აჩვენებს, რომ ფერწერული გაფრთხილებები მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანების ცნობიერებას თამბაქოს მოხმარების მავნებლობის შესახებ. მასმედიის კამპანიებს ასევე შეუძლიათ შეამცირონ თამბაქოზე მოთხოვნა არამწეველთა დაცვის ხელშეწყობით და ხალხის დარწმუნებით, რომ შეწყვიტონ თამბაქოს მოხმარება.

თამბაქოს რეკლამის აკრძალვა ამცირებს მოხმარებას

თამბაქოს რეკლამირების, პოპულარიზაციისა და სპონსორობის ყოვლისმომცველმა აკრძალვამ შეიძლება შეამციროს თამბაქოს მოხმარება. ყოვლისმომცველი აკრძალვა მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ რეკლამას. პირდაპირი ფორმები მოიცავს, სხვათა შორის, რეკლამას ტელევიზიაში, რადიოში, ბეჭდურ პუბლიკაციებში, ბილბორდებში და ბოლო დროს სხვადასხვა სოციალური მედიის პლატფორმებზე. არაპირდაპირი ფორმები მოიცავს ბრენდის გაზიარებას, ბრენდის გავრცელებას, უფასო დისტრიბუციას, ფასდაკლებებს, გაყიდვების წერტილების პროდუქციის ჩვენებას, სპონსორობას და სარეკლამო აქტივობებს, რომლებიც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებს ასახავს.

გადასახადები ეფექტურია თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად

თამბაქოს გადასახადები ყველაზე ეფექტური გზაა თამბაქოს მოხმარებისა და ჯანდაცვის ხარჯების შესამცირებლად, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და დაბალშემოსავლიან ადამიანებში, რაც ამავდროულად გაზრდის შემოსავალს ბევრ ქვეყანაში. თამბაქოს ფასების 10%-ით ზრდა ამცირებს თამბაქოს მოხმარებას დაახლოებით 4%-ით მაღალშემოსავლიან ქვეყნებში და დაახლოებით 5%-ით დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, თამბაქოს მაღალი გადასახადების შემოღება არის ღონისძიება, რომელიც ყველაზე ნაკლებად ხორციელდება თამბაქოს კონტროლის ხელმისაწვდომ ღონისძიებებს შორის.

თამბაქოს მომხმარებლებს დახმარება სჭირდებათ, რომ თავი დაანებონ

კვლევებმა აჩვენა, რომ ცოტას თუ ესმის თამბაქოს მოხმარების სპეციფიკური ჯანმრთელობის რისკები. თუმცა, როცა მწეველები აცნობიერებენ თამბაქოს საშიშროებას, უმეტესობას სურს თავის დანებება. შეწყვეტის მხარდაჭერის გარეშე თამბაქოს შეწყვეტის მცდელობების მხოლოდ 4% იქნება წარმატებული. პროფესიონალური დახმარება და დადასტურებული შეწყვეტის მედიკამენტებმა შეიძლება გააორმაგოს თამბაქოს მომხმარებლის წარმატებული შეწყვეტის შანსები.

თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობა შნდა შეწყდეს

თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობა ჯანმრთელობის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების უდიდეს ზიანს იწვევს მთელ მსოფლიოში. დადგენილია, რომ გლობალურად მოხმარებული ყოველი 10 სიგარეტიდან და თამბაქოს ნაწარმიდან 1 უკანონოა. უკანონო ბაზარს მხარს უჭერენ სხვადასხვა „მოთამაშეები“, დაწყებული წვრილმანი მოვაჭრეებიდან თამბაქოს მსხვილ კომპანიებამდე და ზოგიერთ შემთხვევაში იარაღით და ადამიანებით ვაჭრობაში ჩართული ორგანიზებული კრიმინალური ქსელებიც კი. გადასახადებისგან თავის არიდება (კანონიერი) და გადასახადებისგან თავის არიდება (არაკანონიერი) ძირს უთხრის თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ეფექტურობას, განსაკუთრებით თამბაქოს უფრო მაღალ გადასახადებს. თამბაქოს ინდუსტრია და სხვები ხშირად ამტკიცებენ, რომ თამბაქოს ნაწარმის მაღალი გადასახადები იწვევს გადასახადებისგან თავის არიდებას. თუმცა, მრავალი ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ უკანონო ვაჭრობა წარმატებით შეიძლება მოგვარდეს მაშინაც კი, როდესაც თამბაქოს გადასახადები და ფასები იზრდება. თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის შეჩერება ჯანმრთელობის პრიორიტეტია და მიღწევადია. მაგრამ ამისათვის საჭიროა ეროვნული და ადგილობრივი საგადასახადო ადმინისტრირების სისტემების გაუმჯობესება და საერთაშორისო თანამშრომლობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის FCTC პროტოკოლი თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოსაფხვრელად (ITP) ასახავს მთელ რიგ მნიშვნელოვან ზომებს და ინტერვენციებს თამბაქოს მოხმარებისა და მისი ჯანმრთელობისა და ეკონომიკური შედეგების შესამცირებლად.

მოწევის მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით -2021 წელი

საერთო ჯამში, მოწევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ევროპის ბალკანეთის რეგიონშია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკას აქვს მოწევის დაბალი მაჩვენებელი, თუმცა, ეს ყოველთვის არ არის გარანტირებული, რადგან ჩილეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. 2018 წელს მსოფლიოში ყველაზე მაღალი მწეველობის მქონე ქვეყნებიდან ხუთეულში სამი წყნარი ოკეანის კუნძულებზეა, ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ერთი სამხრეთ ამერიკაში.

სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბევრ ქვეყანაში თამბაქოს მოწევის მაჩვენებელი, როგორც წესი, ძალიან მაღალია მამაკაცებისთვის და ძალიან დაბალი ქალებისთვის. მაგალითად, ინდონეზიაში, მამაკაცების მოწევის მაჩვენებელი 76,20%-ია, ხოლო ქალების მწეველი 3,60%. ზოგადად, მოწევის მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში შემცირდა თამბაქოს გავლენის შესახებ გაზრდილი განათლებისა და თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიების გამო. 2000 წელს გაერთიანებულ სამეფოში მოწევის მაჩვენებელი 38% იყო. მას შემდეგ ის 19.2%-მდე დაეცა. ნაურუს აქვს მოწევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მსოფლიოში 52,1%. უცნაურია, რომ ნაურუში ქალები ოდნავ მეტს ეწევიან, ვიდრე მამაკაცები (52.6% - 51.7%), რაც გარკვეულწილად გამოარჩევს მას სხვა ქვეყნებისგან. მეორე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კირიბატს ეკუთვნის, რომლის (52,0%) მთლიანი 68,6% მამაკაცი და 35,5% ქალია, რაც უფრო ტიპიური განაწილებაა. შეერთებულ შტატებში მოწევის მინიმალური ასაკი 21 წელია. მოწევის ასაკი გაიზარდა 18-დან 21 წლამდე 2019 წლის დეკემბერში. მოწევის მაჩვენებელი განსხვავდება შტატის მიხედვით, მწეველთა ყველაზე მაღალი გავრცელება დასავლეთ ვირჯინიაში და ყველაზე დაბალი იუტაში. წარმოგიდგენთ 10 ქვეყანას, სადაც მოწევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია:

ნაურუ (52.10%)
კირიბატი (52.00%)
ტუვალუ (48,70%)
მიანმარი (45.50%)
ჩილე (44.70%)
ლიბანი (42.60%)
სერბეთი (40.60%)
ბანგლადეში (39.10%)
საბერძნეთი (39.10%)
ბულგარეთი (38,90%)

2008-2010 წლებში ჩატარებული გამოკითხვები, 14 დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაში, ზრდასრულებში თამბაქოს მოხმარების შესახებ, იძლევა დღემდე ყველაზე ამომწურავ ინფორმაციას თამბაქოს ეპიდემიის შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც ის ყველაზე სწრაფად იზრდება. შედარების მიზნით კვლევა ასევე მოიცავს მონაცემებს შეერთებული შტატებიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

მხოლოდ ამ 16 ქვეყანაში, კვლევამ აჩვენა, რომ 852 მილიონი თამბაქოს მომხმარებელია. კვლევამ აჩვენა თამბაქოს მოხმარების საგანგაშო მაჩვენებლები. გამოკითხულ 14 დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაში, მამაკაცების თითქმის ნახევარი (49 პროცენტი) მოიხმარს თამბაქოს. მიუხედავად იმისა, რომ ქალებში თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი დაბალია, ქალები იწყებენ მოწევას ჯერ კიდევ მამაკაცების გავლენით, რაც მიუთითებს თამბაქოს მარკეტინგის მავნე ზემოქმედებაზე, რომელიც მიმართულია ქალებსა და გოგოებზე.

კვლევა კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ თამბაქოს კონტროლის ძლიერი პოლიტიკა მუშაობს. მწეველთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც თავი დაანებეს, ყველაზე მაღალია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ბრაზილიასა და ურუგვაიში, სადაც თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა ყველაზე ძლიერია. ბრაზილიამ და ურუგვაიმ მკვეთრად შეამცირეს თამბაქოს მოხმარება თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის განხორციელებით, როგორიცაა თამბაქოს მაღალი გადასახადები, ყოვლისმომცველი კანონები, სიგარეტის გრაფიკული გაფრთხილებები და თამბაქოს რეკლამის აკრძალვა. ამის საპირისპიროდ, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და ბანგლადეში, იხდიან შესაბამის „ფასს“ უმოქმედობისთვის. შესაბამისად, თამბაქოს ყველაზე მეტი მომხმარებელი ჩინეთს ჰყავს (300,8 მილიონი), შემდეგ მოდის ინდოეთი (274,9 მილიონი). ყველაზე მეტი მწეველი ჩინეთშია (300,7 მილიონი), ხოლო ინდოეთში ყველაზე მეტი თამბაქოს მომხმარებელი (205,9 მილიონი). რუსეთი მოსალოდნელი კრიზისის წინაშე დგას. რუსეთში მოწევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მამაკაცებს შორისაა (60,2 პროცენტი). განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მწეველი რუსი ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი (როგორც კაცები, ასევე ქალები, 15-დან 19 წლამდე) უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში.

ინდოეთი და ბანგლადეში უნიკალური რისკების წინაშე დგანან უკვამლო თამბაქოს მოხმარების მაღალი მაჩვენებლის გამო, ამ ორ ქვეყანაში მათი რიცხვი 94 პროცენტია. ინდოელების 25 პროცენტზე მეტი (სულ 205,9 მილიონი) მოიხმარს უწევ თამბაქოს. ბანგლადეშს აქვს უმოწევო თამბაქოს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კვლევაში (27,9 პროცენტი) და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქალებში. გასაკვირი არ არის, რომ ინდოეთსა და ბანგლადეშს აქვს პირის ღრუს კიბოს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მსოფლიოში.

თუ თამბაქოს კონტროლის ეფექტური ზომები არ განხორციელდება დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, ამ ქვეყნებში თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაავადებების ტვირთი გაიზრდება. კვლევაში ნათქვამია, რომ „2025 წელს მსოფლიოში მოწევის 30 პროცენტით შემცირების მიზნით, ქვეყნებს მოუწოდებენ, სრულად განახორციელონ თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია (FCTC). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პირველი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეკრულება მოუწოდებს ქვეყნებს განახორციელონ თამბაქოს მოხმარების შემცირების დადასტურებული სტრატეგიები, მათ შორის თამბაქოს უფრო მაღალი გადასახადები, 100 პროცენტით მოწევის კანონები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დიდი, გრაფიკული გაფრთხილებები და თამბაქოს რეკლამირების, პოპულარიზაციისა და სპონსორობის ყოვლისმომცველი აკრძალვა.

გადაუდებელი ზომების გარეშე, თამბაქოს მოხმარება ამ საუკუნეში მილიარდ სიცოცხლეს მოკლავს. ის უკვე კლავს რვა მილიონ ადამიანს წელიწადში, რაც მთელ მსოფლიოში ზრდასრულთა შორის 10-დან ერთს შეადგენს. მთავრობებმა უნდა იმოქმედონ ახლა, რათა შეამცირონ თამბაქოს ნაწარმის დამანგრეველი ზარალი ჯანმრთელობაზე, სიცოცხლესა და ეკონომიკაზე.

მოამზადა

ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

უარყოფითი ინფორმაციის გავლენა

პანდემიის პიროგებში სახლში გამოკეტილი საზოგადოების ნაწილს დეპრესია და შფოთვა დაეუფლა. ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ სასურველია პანდემიის შესახებ ან ნეგატიური ემოციების შემცველ ნებისმიერ ინფორმაციას მოვუსმინოთ დღეში ერთხელ ან ორჯერ, დღის პირველ მონაკვეთში. საღამო კი, ძილის წინა პერიოდი, არ უნდა დავტვირთოთ უარყოფითი ემოციებით. აქვე გვინდა შემოგთავაზოთ სამი გზა, რომლითაც ნეგატიური სიახლეები მიკერძოებული დასკვნების გამოტანისკენ მიდრეკილებას აღვიძებს და უარყოფითი მოვლენების ტყვეობაში გვამყოფებს.

უყურეთ, წაიკითხეთ ან მოისმინეთ სიახლეები და, სავარაუდოდ, თქვენ იფიქრებთ, რომ სამყარო სწრაფად მიექანება უბედურებისა და ქაოსისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ბევრი ასპექტი მრავალი წლის მანძილზე უმჯობესდებოდა. თანმიმდევრული, სენსაციად ქცეული, პესიმიზმის ამსახველი სიახლეების უწყვეტი ნაკადის გავრცელება სიახლეების გამავრცელებლებისთვის ნორმად იქცა. ეს კი მნიშვნელოვანია, რადგან კვლევა ცხადყოფს, რომ რასაც სიახლეების სახით ვიღებთ, ის გავლენას ახდენს ჩვენს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მართალია, ნეგატიური ინფორმაცია მრავალგვარ მექანიზმზე დაყრდნობით ზემოქმედებს ჩვენზე, თუმცა, ერთ — ერთი მნიშვნელოვანი გზა დასკვნის გამოტანისა და მსჯელობის უნარებია, რომელთან ურთიერთქმედების შედეგადაც, უარყოფითი სიახლეების უწყვეტი ნაკადი ახერხებს ჩვენი ყურადღება მხოლოდ უარყოფითი მოვლენებისკენ მიმართოს და დაგვავიწყოს კარგი მოვლენები.

ქვემოთ ჩამოთვლილია სამი მიკერძოებული დასკვნა, რომელსაც უარყოფითი სიახლეები ააქტიურებს და მათი უარყოფითი გავლენისგან გათავისუფლებაში ხელს გვიშლის. აქვე მოცემულია, როგორ შეგვიძლია, მოჯადოებული წრიდან თავის დაღწევა.

ნეგატიურობაზე დამყარებული მიკერძოებული დასკვნა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, უარყოფითი სიახლეების მიღება შევწყვიტოთ.

ეს მიკერძოებული დასკვნა გულისხმობს, რომ ადამიანები მეტად კონცენტრირდებიან უარყოფით მოვლენებზე, ინფორმაციაზე ან ემოციებზე, ვიდრე მათ საპირისპირო ემოციების აღმძვრელ მოვლენებზე. საფრთხეებით სავსე პერიოდში ამ მიკერძოებას ევოლუციური სარგებლის მოტანა შეეძლო (მაგალითად, ჩვენ მარტივად შეგვეძლო შესაძლო საფრთხის შემჩნევა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა). თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში ეს უნარი ჩვენი ყურადღების შენარჩუნებას ემსახურება.

ამას შეუძლია ახსნას რატომ უსვამენ ხაზს სიახლეებში, დიდწილად, უარყოფით მოვლენებს, რომლებიც მსოფლიოში ხდება. შესაბამისად, არა მხოლოდ ვეძებთ უარყოფითს, არამედ სიახლეების გამავრცელებლებიც, ძირითადად, უარყოფით სიახლეებს გვაწვდიან. ეს კი გამორმაგებული დოზაა.

მისაწვდომობაზე დამყარებული მიკერძოებული დასკვნა იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ვხედავთ უარყოფითს, გაზვიადებულად ვაფასებთ მის მნიშვნელობას.

მისაწვდომობაზე დამყარებული მიკერძოებული მსჯელობა (რომელსაც მისაწვდომობის ევრისტიკასაც უწოდებენ) არის ჩვენი ტენდენცია, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანები გადაჭარბებულად აფასებენ ისეთი საკითხების მნიშვნელობას, რომლებიც მათ სწრაფად ახსენდებათ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ის გახსენდებათ, რამაც ახლო წარსულში მიიპყრო თქვენი ყურადღება ისევე, როგორც ისეთი რამ, რასაც მეტი ყურადღება დაუთმეთ.

შესაბამისად, თუ თქვენ ახლახან უყურეთ ახალი ამბების სიუჟეტს თქვენს ქალაქში მომხდარ ძარცვასთან დაკავშირებით და გკითხავთ, რა პრობლემებია თქვენს ქალაქში, შეიძლება, მითხრათ, რომ თქვენი ქალაქის მთავარი პრობლემა ძარცვაა მაშინაც კი, როცა შეიძლება ეს საკმაოდ იშვიათია თქვენს ქალაქში. თუ თქვენ განუწყვეტლივ უყურებთ უარყოფითი ემოციის აღმძვრელ სიახლეებს, თქვენი თავის ტვინი, დიდწილად, საშინელ მოვლენებს გაიხსენებს და დაიჯერებს, რომ შედარებით იშვიათი მოვლენები ზოგადი მდგომარეობის ამსახველია.

დადასტურებისკენ მიდრეკილება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიდრეკილნი ვართ, აღმოვაჩინოთ უარყოფითი ხედვის მხარდამჭერი მტკიცებულებები.

დადასტურებისკენ სწრაფვა იმას მოიაზრებს, რომ ჩვენ აქტიურად ვეძებთ, ვიმახსოვრებთ და ვწყალობთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც იმის სისწორეს ადასტურებს, რაც აქამდე გვწამდა. თუ თქვენ გჯერათ, რომ ძარცვა თქვენი ქალაქის მთავარი პრობლემაა, დიდი ალბათობით, ისეთ მონაცემებსაც მოიძიებთ, რომლებიც ამ რწმენას განამტკიცებს. თქვენი თავის ტვინი მიკერძოებით გამოყოფს იმ ფაქტებს, რომლებიც ფაქტების მოძიებამდე არსებულ რწმენას ამყარებს და უგულებელყოფს მასთან დაპირისპირებულ ფაქტებს.

თუ თქვენ ღრმად გწამთ, რომ მსოფლიო საშინელი ადგილია, დადასტურების მოთხოვნილება გაიძულებთ, ის ფაქტები მოიძიოთ, რომელიც ამ რწმენას შეგინარჩუნებთ. სავარაუდოდ, დროთა მანძილზე საპირისპირო ხედვის მოსმენა გაგიჭირდებათ.

რომ შევაჯამოთ...

როდესაც ეს სამი მიდრეკილება ერთად მოქმედებს, შეგვიძლია დავინახოთ როგორ ვეძებთ, გადაჭარბებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ და განვამტკიცებთ ნეგატიურის რწმენას ჩვენში. პირველ რიგში, იქიდან გამომდინარე, რომ უარყოფითს მარტივად ვამჩნევთ, გვირჩევნია, უარყოფითი შინაარსი უფრო ხშირად „გამოვიყენოთ," ვიდრე — სხვა სახის შინაარსის შემცველი სიახლეები. ჩვენ ვეძებთ ნეგატიურ ინფორმაციას და სიახლეების გამავრცელებელ ორგანიზაციებს, რომლებიც, ძირითადად, უარყოფითი სიახლეების გავრცელებაზე ზრუნავენ, რადგან გვსურს, ყურადღება და აქტუალობა შევინარჩუნოთ. შემდეგ, ხელმისაწვდომობის მიკერძოება ჩვენს თავის ტვინს აიძულებს, დაჟინებით ვიფიქროთ მხოლოდ უარყოფით სიახლეებზე. ბოლოს კი, დადასტურების ძლიერი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ჩვენ მიდრეკილნი ვართ ისეთი სიახლეები მოვიძიოთ, რომლებიც მხარს დაუჭერს ჩვენს რწმენას, რომ მსოფლიო საშინელი ადგილია და, ამავდროულად, უარვყოფთ ინფორმაციას, რომელიც საპირისპირო რწმენას ემხრობა.

მოჯადოებული წრის გარღვევა

იმისათვის, რომ უარყოფითი ინფორმაციის დამაზიანებელი გავლენა შეამციროთ, შეზღუდეთ უარყოფითი სიახლეების უწყვეტად მიღება. ინფორმირებულობასა და სენსაციად ქცეული ნეგატიური სიახლეების უწყვეტად მიღებას შორის საგულისხმო განსხვავებაა.



მანამ, სანამ სიახლეებს უპირობოდ მიიღებთ, ჰკითხეთ თქვენს თავს, რამდენი ისწავლეთ ამ სიახლის გაცნობის შემდეგ რეალურად. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაგიმყარდათ აქამდე არსებული რწმენა, მაშინ ეს სიახლე იმდენად არ დაგხმარებიათ, როგორც ადრე გეგონათ. სასურველია, სიახლეების მოსმენა, ყურება ან კითხვა შეწყვიტოთ, თუ ისინი თქვენში ძლიერ ბრაზს ან გაღიზიანებას იწვევს. მეტიც, შეგიძლიათ, ერთი კვირის მანძილზე, სიახლეების მიღება საგრძნობლად შეზღუდოთ და დააკვირდეთ, თავს როგორ იგრძნობთ.

იმისათვის, რომ ხელმისაწვდომობის ტენდენციის გავლენა შეამციროთ, სცადეთ, ნეგატიური ინფორმაციის კონტექსტში გააზრება. ცუდი ამბები ყოველდღე ხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხოვრება აუცილებლად უარესდება. როდესაც თქვენ ნეგატიური ამბების სტატისტიკა მოგეწოდებათ, თქვენ უნდა იკითხოთ, არის თუ არა ეს განცალკევებული მოვლენა თუ მოვლენების ერთობლიობათა ნაწილი, რომელთაც საერთო რამ უდევს საფუძვლად. ამ ქმედებების მიზანი ისაა, რომ თქვენ შეიქმნათ მოვლენების გაწონასწორებული ხედვა, რომელსაც, შემდეგში, დაეყრდნობით.

ბოლოს, მივუახლოვდით დადასტურების მიკერძოებას. როდესაც ირგვლივ ბევრი სხვადასხვა აზრი და მონაცემი ტრიალებს, მარტივია ნებისმიერი აზრის დამადასტურებელი აზრი იპოვო. ეს ფაქტი კი ხაზს უსვამს, რამდენად მნიშვნელოვანია დადასტურების ტენდენციის გავლენის მართვა ჩვენი ფსიქიკური კეთილდღეობისთვის.

დადასტურების მოთხოვნილების გავლენის შემცირების ერთ — ერთი სასარგებლო გზა საკუთარი რწმენის სისწორეში დროდადრო დაეჭვებაა. რომელ ფაქტებს ეყრდნობა თქვენი რწმენა? მაგალითად, ბოლო დროს ჩადენილი კრიმინალური აქტის შესახებ უამრავი სტატიის ნახვის შემდეგ, შესაძლოა, დაასკვნათ, რომ თქვენს მშობლიურ ქალაქში ცხოვრება სახიფათო გახდა, თუმცა, დარწმუნებული ხართ, რომ ისეთი ფაქტები მოიძიეთ, რომლებიც ნამდვილად მხარს უჭერს თქვენს აზრს?

უფრო ზოგადი მიდგომა კი გულისხმობს, რომ, დროდადრო, თქვენს თავს ჰკითხოთ: „რა შეიძლება ჩემი აზრის სიმცდარეს ამტკიცებდეს?" და ეს შესანიშნავია იმისათვის, რომ თქვენი რწმენების სისწორის შემოწმება ჩვევად გექცეთ.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

საქართველოში წლიური ინფლაციის დონემ 12.5 პროცენტი შეადგინა

2021 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 0.6 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.5 პროცენტი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები 0.6 პროცენტით გაიზარდა, რაც თვის ინფლაციაზე 0.22 პროცენტული პუნქტით აისახა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, უწყების ინფორმაციით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის ნოემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.1 პროცენტი შეადგინა, თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი, ასევე, 6.1 პროცენტით განისაზღვრა.

საქსტატის მონაცემებით, ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

„სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0.6 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.22 პროცენტული პუნქტით აისახა.

ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (4.4 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (1.5 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (1.3 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (1.0 პროცენტი). შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (0.9პროცენტი).

ამასთან, ფასები შემცირდა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (-5.1 პროცენტი), ასევე ხილსა და ყურძენზე (-2.6 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.7 პროცენტით, რაც 0.22 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (2.4 პროცენტი); ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 1.0 პროცენტიანი მატება, რაც თვის ინფლაციაზე 0.05 პროცენტული პუნქტით აისახა.

ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ავეჯი, საოჯახო ნივთები, ხალიჩები და სხვა იატაკის საფარი (2.3 პროცენტი), მინის ჭურჭელი, მაგიდის და საოჯახო ჭურჭელი (2.1 პროცენტი), ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროების საქონელი და მომსახურება (2.0 პროცენტი).

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 17.0 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.35 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ზეთი და ცხიმი (27.7 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (26.2 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (20.4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (17.9 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (17.4 პროცენტი), თევზეული (16.0 პროცენტი), ხილი და ყურძენი (15.5 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (13.6 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (10.7 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (6.9 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 20.2 პროცენტით, რაც 2.5 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (30.1 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (2.6 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-3.3 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 11.5 პროცენტიანი მატება, რაც 1.68 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (14.2 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (7.2 პროცენტი), წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (4.5 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა საცხოვრებლის ფაქტიურ გადასახადზე (-2.0 პროცენტი)“, - აღნიშნულია „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მონატრება

ალექსანდრა (შურა) ბენაშვილი



დედა, მწუხარება ისეთივე სიტყვაძუნწი ყოფილა, როგორც დიდი სიხარული. ალბათ იმიტომ ვერ მომიყრია თავი იმ სიტყვებისთვის, რომელიც ცოტათი მაინც გამოხატავს შენი დაკარგვით გამოწვეულ ჩემს უსაზღვრო ტკივილს.

ჩემო ტანჯულო, ძვირფასო და საყვარელო დედა, აუტანლად მძიმე აღმოჩნდა უშენოდ გასული ეს ორმოცი დღე, უსასრულო მონატრებამ და გამძაფრებულმა მარტოობის განცდამ მაგრძნობინა, თურმე როგორ მეიმედებოდი, როგორ მჭირდებოდი და ახლა როგორ მაკლიხარ, ჩემო საყვარელო დედა. შენ ჩემთვის ყველაფერი იყავი, ძლიერი, მტკიცე კედელი, რომელიც მიცავდა შენს ერთადერთ შვილს. იყავი თავგადაკლული დედა შენი შვილისთვის და არაფერი დაგიკლია შენი შესაძლებლობის ფარგლებში.

პირველი გულისტკივილი ბავშვობის ასაკში - 12 წლისამ განვიცადე. მამის ნაადრევად დაკარგვის შემდეგ, შენს მხრებზე აიღე ის მძიმე ტვირთი, რომელიც მეუღლის მაგივრადაც მოგიწია გეტარებინა. დედობის მაღალი შეგნებით და დაუღალავი შრომით არ მაგრძნობინე უმამობა, ჩემო ამაგიანო დედა.

გავიდა წლები, მეც წამოვიზარდე, სკოლის დამთავრებაც და სტუდენტობაც 90-იანების მძიმე წლებში მომინია. ეს წლები მძიმე იყო ჩვენი ქვეყნისთვის, იყო გაჭირვება, ჩვენთვის კი, უკაცოდ დარჩენილი ოჯახისთვის, ორმაგად მძიმე და აუტანელი გამოდგა. მაგრამ შენ ფარხმალი არ დაგიყრია და ერთი წუთითაც არ შეგინელებია ჩემზე მზრუნველობა.

ჩემი სტუდენტობის წლებში შენც ჩემთან ერთად მოგიწია თბილისში ცხოვრება. დატოვე ყველაფერი და ერთი წუთითაც არ დაგიტოვებივარ მარტო. შენი მიზანი იყო, რომ თავგანწირული შრომით უცხო ქალაქში კაპიკი-კაპიკზე დაგედო და ხელი შეგეწყო ჩემთვის იმაში, რომ მომავალში ჩემი ადგილი მეპოვა საზოგადოებაში და ჩემი სიტყვა მეთქვა.

მეც დაგიფასე ეს დიდი შრომა და ამაგი, ამოგიდექი გვერდში და ვცხოვრობდით ჩვენთვის წყნარად და დედაშვილური სიამტკბილობით, ჩემო დედა.

ბევრი გაჭირვება გავიარეთ და როცა ვთქვით, რომ ყველა სიძნელე უკან დარჩა და მშვიდი ცხოვრებით უნდა გვეცხოვრა, ბედის უკუღმართობამ გიწია და აღმოგაჩნდა უკურნებელი სენი- სიმსივნე. ბევრი წვალების მიუხედავად თავი დააღწიე ამ მდგომარეობას, შენ ის დაამარცხე. მაგრამ ნათქვამია: „საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“, შენც სწორედ ასე დაგემართა, დედა. მსოფლიოში გავრცელებულმა პანდემიამ ჩვენს ქვეყანასაც შემოუტია და ბევრი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა . ამ ამბავმა ძალიან შეგაწუხა და განიცდიდი, გეშინოდა. მე რომ შემხვდეს, ვერ გადავიტან, არ წახვიდე შვილო სამსახურში, ჩემი პენსიით ვიცხოვროთო- მეუბნებოდი. შენ რომ შეგხვდეს და გადამედოს, ვერ გადავიტან, მოვკვდებიო. ჩემი ჯანმრთელობა ძალიან შერყეულიაო. მართლაც, შენი შიში გამართლდა, ჩემო ტკბილო დედა და მე შენს წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ მე მოგიტანე ეს ვირუსი, მე გავხდი შენი სიკვდილის მიზეზი, შენ ხომ გარეთ არც კი გამოდიოდი და არავისთან არ გქონდა კონტაქტი.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა- სიკვდილიც, გასვენებაც, რომ დღემდე მგონია, „ცოცხალი დაგმარხე“. მიცვალებულიც კი ვერ მოგისურვილე. დედა, სამწუხაროდ, ასეთი ყოფილა შენი ბედი, ასეთი ყოფილა უფლის ნება.

ძალიან ძნელია ჩემთვის უშენობა, მარტოობა, რომელზეც სიცოცხლეშიც ფიქრობდი სულ და ეს გადარდებდა. გული მტკივა უშენოდ! დაე, ჩემმა ლოცვამ და ჩემგან დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს მარადიულ ცხოვრებაში. იძინე მშვიდად, მანდ მაინც დაისვენოს შენმა ტანჯულმა სულმა. ნათელი და სანთელი შენს ლამაზ სულს, ჩემო კეთილო დედა. შენი ხსოვნა კი ჩემს გულში მარად იქნება.

შენი ერთადერთი შვილი
შორენა ნატროშვილი

ლილი ბეგაშვილი

ლილი, ჩვენო ენით აუწერელო ტკივილო, 8 დეკემბერს 40 დღე გავა , რაც დაგვტოვე და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლე. დასანანია, რომ ასეთმა ენერგიულმა, სიყვარულით და სითბოთი სავსემ, საამაყო, ღირსეულმა მოქალაქემ უდროოდ დაგვტოვე. დატოვე შენი სამედიცინო სფერო, სადაც საპასუხისმგებლო და ხალხისთვის საჭირო დარგს-„ოჯახის ექიმის” ინსტიტუტის განვითარებას ერთგულად და ღირსეულად ემსახურებოდი. შენ ხომ უაღრესად განათლებული, სათნოებითა და სიკეთით დაჯილდოებული ქალბატონი იყავი. შენი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მისაბაძი მაგალითი იყავი როგორც მთელი რაიონის თვის, ისე შენი თითოეული პაციენტისთვის. გულდასაწყვეტია, რომ განუკურნებელმა სენმა შენი თავი უდროოდ გამოგვაცალა. შენ ხომ სული და გული იყავი ყველა ადამიანისთვის. კარგი მეუღლე, კარგი დედა, კარგი ბებია, კარგი მამიდა, კარგი რძალი. წახვედი და დაგვტოვე წარსული ცხოვრების მოგონებებთან.

მწუხარებას ვერ იტევს გულში შენი მეუღლე-გია, გოგოები თავისი ოჯახებით და შენი დაუოჯახებელი ერთადერთი ბიჭი ლევანი, რომლის დარდიც თან გაიყოლე. შენი შვილიშვილები: დათუნა, საბა, კესო. მხარი ჩამოუგდე ერთადერთ ძმას გელას, რომელსაც ძალიან აკლიხარ და სულ შენს ნატვრაშია მთელი ოჯახით. დიდი ტკივილი დაუტოვე შენი მაზლისილიკოს ოჯახს. ჩვენთვის, ჩაფიაშვილების ოჯახისთვის ხომ განუყოფელი ნაწილი იყავი და ასევე დარჩები, ძვირფასო.

საყვარელო ჩვენო ლილი, ამ ქვეყნად ყველაფერი უფლის ნებით ხდება და, რა თქმა უნდა, შენი ამ ქვეყნად მოსვლაც და წასვლავ მისი ნებაა.

შენ არ მომკვდარხარ, ჩვენო ლილი, შენ უკვდავებაში გადაინაცვლე. შენ მარტო შენს ოჯახს კი არა, მთელ რაიონს, სანათესაოს, სამეგობროს, სამეზობლოს და პაციენტებს დააკლდი.

ლილი, სანამ ვცოცხლობთ, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ხშირად გეწვევით შენს სამუდამო განსასვენებელთან, მოგართმევთ ყვავილებს, რომელიც ძალიან გიყვარდა, დაგინთებთ სანთლებს, გავისაუბრებთ შენს წარსულთან. ჩვენს მიერ დანთებული სანთლები კი გაგინათებს სასუფევლის გზას.

შენი მონატრებული რძალი ციცინო ჩაფიაშვილი, მისი შვილები: მანანა, მაია, არჩილი ოჯახებით, და მარიკა, შვილიშვილები: ლევანი, ქეთევანი, გიგა, შვილთაშვილი ლუკა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ი.ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე. პასუხისმგებელი მდივანი ლია ჩოქური და გამგეობის წევრები: ხათუნა აგლაძე, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ნელი გობეჯიშვილი და სხვები თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ პაპიაშვილს მეუღლის

ციური ზურაბაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები: ნუნუ, თამაზ ზურაშვილები; შვილიშვილები: მაკა, ნანა, ქეთევანი, ეკა ზურაშვილები, მაგდა და სოფო ნატროშვილები იუწყებიან

მარიამ ზურაშვილ – ჩალახეშაშვილის

გარდაცვალებას.

გზა თავადაც უნდა ვეძებოთ

დღეს ქვეყანაში უმუშევრობა და სიღარიბე რომ არის, ამას არც მთავრობა მალავს და სხვადასხვა გაზას ქაქუს ამ გამოწვევის დასაძლევად, მაგრამ... სწორედ ეს მაგრამ არის, რომელზეც უნდა დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, ავაგოთ ჩვენი სამომავლო გეგმები და ვიოცნებოთ თუნდაც. მარტო მთავრობის ხელში შეყურება მაზამზარეულად რას მოგვართმევს, საქმეს წინ ვერ წასწევს. ყველამ თავისი უნარის და შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იზრუნოს, რათა გამონახოს გზა საკუთარი თავის სარჩენად. ახლა მე ერთი ჩვეულებრივი (იქნებ უფრო არაჩვეულებრივი) ოჯახის შესახებ მოგიყვებით, დასკვნა კი თქვენ გამოიტანეთ:

წელს, 18 ოქტომბერს, ჩემს შვილიშვილს - ნია მელაშვილს, ჩემმა კეთილმა და მოსიყვარულე მეზობელმა ფატი და ლუიზა ზურაშვილებმა, დაბადების დღეზე, ნიას პორტრეტით და თბილი მილოცვის ტექსტით დამშვენებული ჭიქა აჩუქეს. დავინტერესდი, სად და ვის დაამზადებინეს და გაირკვა, რომ სოფელ სამრეკლოში არის ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც სუბლიმაციურ, ანუ სპეციალურად ამ პროცედურისათვის განკუთვნილ საგნებზე, ასრულებს პოლირებას. ეს ქალბატონო ნინო საბიაშვილია. იგი წარმოშობით საგარეჯოდანაა და სამრეკლოში ტოკლიკიშვილების რძალია. მეთორმეტეკლასელი იყო ნინო, როდესაც ახლობლის ოჯახში, წვეულებაზე გაიცნო სამრეკლოელი ზაზა ტოკლიკიშვილი და სიყვარულმაც ფრთა გაშალა, გაშალა და ისე იწყო აღმა ფრენა, რომ სკოლის დამთავრებისთანავე ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. ეს იყო შვიდი წლის წინ. ნინომ პროფესიის მიღება ვერ მოასწრო. მეუღლე ამხნევებდა:-არ ინერვიულო, მე ვიმუშავებ, შენ ოჯახს მიხედეო, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ნინოს დედამთილი მაია ქადაგიძე- ტოკლიკიშვილი.

-მე ოცი წელი მუსიკალურ სკოლაში ვიმუშავე და კარგად ვიცი, რომ ქალსაც აუცილებლად სჭირდება საკუთარი საქმე და შემოსავალი, რათა იყოს რეალიზებული და დამოუკიდებელი. ადამიანი მეორე ადამიანის კმაყოფაზე არ უნდა იყოს. ამიტომ, სულ ვწუხდი, რა მომეფიქრებინა, რომ ნინოსთვის საქმე გამეჩინა. ასე ვფიქრობდი ჩემს გათხოვილ ქალიშვილსა და უფროს რძალზე. მათ კოსმეტიკური სალონები აქვთ და თანამედროვე მეთოდით ფრჩხილების ლაქირებას აკეთებენ. ერთხელაც, ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე , ყურადღება მივაქციე, რომ წამყვანს იმ არხის ლოგოთი დამშვენებული ჭიქა ედგა მაგიდაზე. მერე ნინომ წნორში, შემთხვევით, ნახა სალონი, რომლის აბრაზეც ეწერა „ჭიქაზე ბეჭდვა“. გაესაუბრა მეპატრონეს. მე და ნინო დავინტერესდით, კომპიუტერით მოვიძიეთ კიდეც. ერთად ვისწავლეთ ეს ყველაფერი და ნინოს საქმედ ვაქციეთ.- ამბობს ქალბატონი მაია.

-ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოდგა პოლირება. ეს არა მარტო ტექნიკური მხარეა, არამედ ფანტაზიის უნარიც, უნდა შეგეძლოს წარმოსახვა, რასაც დამკვეთი ითხოვს, გამოვა კი ისეთი, მას რომ მოეწონოს?! ამიტომ რჩევებსაც ვაძლევ, ვთავაზობ სხვადასხვა ნიმუშს. დღეისათვის მხოლოდ ჭიქებზეღა ვმუშაობ, რადგან საკმაოდ ძვირადღირებული დანადგარი, რომელითაც მაისურებზე, ბავშვებისთვის სათამაშო ფაზლებზე, მაუსის საფენებზე ნებისმიერი სურათის და წარწერის გადატანა შემეძლო, დამეწვა. ამ კუთხით ძალიან ბევრი დამკვეთი მყავდა. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ფაზლის აწყობა, სადაც საკუთარი პორტრეტი თუ სათამაშო იყო დატანილი. თუმცა ჭიქებზე შემკვეთი დღესაც საკმაოდ მყავს. გამორჩეულად დღესასწაულებზე. ადამიანები ერთმანეთს ჩუქნიან არა მხოლოდ საკუთარი პორტრეტებით, არამედ სხვადასხვა დიზაინით დამზადებულ ჭიქებს. შემიძლია ჭიქაზე დავიტანო წმინდანების ხატები, ზოდიაქოს ნიშნები, ემბლემები, დროშები, პეიზაჟები, „სმაილები“, ჩემი ან შემკვეთის ფანტაზიით შექმნილი კოლაჟები, ასე რომ, ძალიან საინტერესო სამუშაოა და ჩემთვის საჭირო ფინანსური შემოსავალიც მოაქვს. ამ ჭიქას ადამიანები ერთმანეთს ჩუქნიან დაბადების დღეებზე, ახალ წელს, 8 მარტს რელიგიურ დღესასწაულებზე და სხვა. ის ყველასათვის ხელმისაწვდომია, სულ რაღაც, 10 ლარი ღირს. სამომავლოდ მინდა, გავაფართოვო ჩემი საქმიანობა და შევიძინო დანადგარი, რომლითაც ყავის ჭიქების და თეფშების პოლირებასაც შევძლებ. მადლობელი ვარ ჩემი დედამთილის, რომელმაც მომცა ბიძგი, სახლიდან გაუსვლელად მეკეთებინა ჩემთვის და ხალხისთვის საჭირო საქმე და არც ოჯახი დამრჩენოდა უყურადღებოდ,- ამბობს ნინო. ის ორი ბიჭის 5 წლის ლაშას და 7 თვის ლუკას დედაა.

-სულ ბავშვი იყო ნინო, ჩემს ოჯახში რომ შემოვიდა. აქ ისწავლა საოჯახო საქმე, ურთიერთობები. ის ძალიან მშვიდი, გაწონასწორებული, ზრდილი ადამიანია, ოჯახის ერთგულია და კარგად უვლის ქმარ-შვილს, სხვა რა უნდა გვინდოდეს, ამიტომ მე ის შვილივით მიყვარს და, შეძლებისდაგვარად, მხარში ვუდგევარ,- ამბობს მაია და შავთვალა შვილიშვილებს გულში იხუტებს.

-მაია ქადაგიძის და ტარიელ ტოკლიკიშვილის ჭიშკარს შეაღებ თუ არა, მაშინვე მიხვდები, რომ აქ მშრომელი ადამიანები ცხოვრობენ. გადაწკრიალებული ეზო-კარმიდამო, ამღერებული ქვები. დიახ, ქვები- ფილაქანი, მესერი, მოაჯირი, კედლები სულ დეკორატიულად გაფორმებულ ქვათა წყობაშია მოქცეული და თვალსა და გულს ეამება მათი ცქერა.

-სახლი, მე და ჩემმა მეუღლემ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, სულ საკუთარი ხელით ავაშენეთ, ჭერიც კი ჩვენი ხელით დავაყენეთ. ბევრს ვშრომობდით. ტარიელი კოლმეურნეობაში მძოლი იყო. მერე სიღნაღის რეაბილიტაციის დროს იქ მუშაობდა და ფილაქანის დაგება და ქვაზე მუშაობა შეისწავლა. შვილებს კახას და ზაზასაც შეასწავლა. ზაზა სასაზღვრო სამსახურშია და თავისუფალ დროს ოჯახის მოწყობას ახმარს. ამჟამად კოსმეტიკურ რემონტს ატარებს სახლში. ჩვენი სიძეც დაგვეხმარა და ძალიან ლამაზი შეკიდული ჭერებით დაამშვენა ბინა. ასე რომ, ყველამ რაღაც საქმე იცის და ერთმანეთს მხარში უდგანან. როცა ხელობაში ფული არ მიგდის, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. ეს ლამაზ-ლამაზი ქვები სათითაოდ სადღა არ გვიგროვებია-გზის პირებზე, მინდორში, ხევებში... ერთი სიტყვით, მართალია, რთული დრო გვიდგას, ირგვლივ გაჭირვებაა, მაგრამ მთავარია, იყო შრომისმოყვარე, მიზანდასახული და საქმე ყოველთვის გამოინახება, მთავარია გული გულობდეს-ამბობს ჩვენთან საუბარში ქალბატონი მაია და მართალიც არის. დღეს ამა თუ იმ საქმის ოსტატის, და თუნდაც მუშახელის, ნახვა იმდენად რთულია, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საქმე გამონახოს თავის სარჩენად. მთავარია, მოინდომო. მარტო წუწუნი-სამუშაო არ არისო, არ გვიშველის. რაიმე გზა თავადაც უნდა ვეძებოთ.

ნაირა გორაშვილი

p.s. თუ გსურთ ისარგებლოთ ნინო საბიაშვილის მომსახურებით, დაურეკეთ 571 120 095.

სხვა სოდომი და გომორა...

არქეოლოგებმა, სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა დიდი ჯგუფის მონაწილეობით, მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ბრინჯაოს ხანის დასახლება ტელ-ელ-ჰამამის ადგილზე ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილი არტეფაქტები შეისწავლეს (2005 წლიდან დაწყებული). მათ საკმაო დამაჯერობლობის მტკიცებულებები მოაგროვეს იმისა, რომ აქ ტუნგუსკის კატასტროფის მსგავსი მოვლენა მოხდა: ყინულის ასტეროიდის ან დიდი მეტეორის აფეთქება უზარმაზარი რაოდენობის ენერგიის გამოყოფით, რამაც ეს ძველი ქალაქი მიწასთან გაასწორა. მეცნიერთა აზრით, სწორედ ამ მოვლენის საფუძველზე გაჩნდა ბიბლიური ლეგენდა სოდომისა და გომორას დაღუპვის შესახებ.

ამ ფენაში აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭლის ათასობით ნამტვრევი, შემომდნარი ალიზის (გამოუწვავი აგური), საყოფაცხოვრებო ნივთების, შემომწვარი ხის ბოძების, ცარცის კონსისტენციამდე დამწვარი კირქვის ლოდების, ადამიანებისა და ცხოველების დამსხვრეულ ძვლებთან არის შერეული. ეს ყველაფერი კი მომხდარ გრანდიოზულ კატასტროფაზე მეტყველებს. რადიონახშირბადული დათარიღებით დადგინდა, რომ ეს, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე დაახლოებით 1650 (±50) წელს მოხდა. მაშინ, 34 ჰექტარი ტერიტორიის მქონე შუა ბრინჯაოს ხანის ტელ-ელ-ჰამამში, გაცილებით მეტი ადამიანი ცხოვრობდა, ვიდრე იერუსალიმში, იერიქონზე კი ხუთჯერ დიდი იყო.

ულოცავენ!

თამილა ნადირაშვილს !

ჩვენ, უახლოესი მეგობრები, უმაღლესი რანგის მუსიკოსს, პროფესიონალს, კეთილ და ყურადღებიანს, ვულოცავთ საიუბილეო თარიღს- 3 დეკემბერს.

საუკეთესო სურვილებით და ურთიერთ პატივისცემის გრძნობით

ნანა ჭიჭინაძე და ლია ჩოქური.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 06.12	სამშაბათი 07.12	ოთხშაბათი 08.12	ხუთშაბათი 09.12	პარასკევი 10.12	შაბათი 11.12	კვირა 12.12
დღე	12°	11°	11°	12°	11°	10°	11°
ღამე	1°	6°	1°	2°	2°	2°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი) ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.